საქართველო
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 42 50 25/09/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 3 სექტემბრის N 5/48519 მომართვის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

1. გადაცემული იქნას სახელმწფოსთვის უსასყიდლოდ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბაღდათში, კახიანის ქ.№84-ში 30.11.32.562 საკადასტრო კოდზე მდებარე 1 764.0 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(საზოგადოებრივი ცენტრი).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, მისი ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში.

შალვა მშვილდაძე

საკრებულოს თავმჯდომარე